F550 N7167

სამშობლო, დიდის ჭუჭყი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# თემი

1990
სამშაბათი
2
ოქტომბერი
№118 (10355)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## სოფლის მეურნეობა: გზა შერეული ეკონომიკისაკენ

# ვსწავლობთ ახლებურ მართვას

ჩვენი საზრუნავი აფიქრებს ყველაზე მეტად დღევანდელ ახალსოფელს, როგორია მისი ხვალინდელი მიჯნები? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხს უდაოდ ელოდის მკითხველი ჩვენი კორესპონდენტისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქ. კიკალიშვილის საუბარში:

**როგორია მიმდინარე მომენტით ნაკარნახევი სამუშაოების დინამიკა?**

—დავიწყებ ტრადიციული კულტურით—ჩაით. ჩვენი მშრომელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წლიური დავალება 18 აგვისტოსათვის იქნა განაღდებული. მოიკრიფა და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 2025 ტონა ხარისხოვანი ნედლეული. მაგის შესაძლებლობა რომ იყოს, მზად ვარ სათითაოდ ყოველი მეჩაიე შევაქო და მადლობა მოვახსენო გაწეული გარჯისათვის. ეს რაც შეეხება მორალურ განწყობილებას. ახლა შევხედოთ ეკონომიკურ ასპექტს. მარტო ჩაისაგან კოლმეურნეობამ ფულადი შემოსავლის სახით მიიღო 2100 ათას მანეთზე მეტი.

გლეხკაცის ყოველდღიური ყოფა ალბათ ამითაც არის საინტერესო. ზღვის ტალღებისა არ იყოს, ერთ საზრუნავს მეორე ცვლის. ეს-ეს არის ჩაის გეგმიური მოცულობა გავანაღდეთ, ზურგიდან, რომ იტყვიან მძიმე ლოდი მოგვეხსნა და პირდაპირ შევეფეთეთ მეცხოველეობისათვის ადგილობრივი იაფი საკვების ბაზის შექმნის პრობლემას. აუცილებელია სოფელმა საკუთარი თავის რძითა და რძის პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა როგორმე თვითონ მოაგვაროს. მაგრამ ამ გზაზე წინააღმდეგობები ბევრია. 150 ჰექტარი მიწა, რომელიც ჩვენი საკვები ბაზა იყო, ღიდინეულის მშრომელების დაჟინებული მოთხოვნით ჩამოგვერთვა. დაგვრჩა ერთადერთი გზა: თივა დავამზადოთ არსებული ფართობებიდან სიმინდის ალების შემდეგ. ასევე თივის დამზადება მოგვიწევს ციტრუსის პლანტაციებში, რაც დიდად შრომატევადია. გარკვეული სიძნელეების ფონზე კოლმეურნეობამ ფერმის წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით ტურნეფსი დათესა ხუთ ჰექტარზე და კარგ მოსავალს მოელიან. ასევე მრავალწლიანი ბალახი გვითესია 25-ჰექტარზე. ამით ვფიქრობთ სიძნელეებისაგან თავის დაღწევას. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები წლის ბოლოსათვის წარმატებით შესრულდება. ვცდილობთ გამოვძებნოთ დამატებითი რესურსები ფერმის სილოსით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

**—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხანაგმა მ. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ მიწაზე კერძო საკუთრების საკითხი სახალხო რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს. რა აზრის ხართ პირადად თქვენ ამ პრობლემის გარშემო?**

—ეს ეკონომიკის რადიკალიზაციის გზაზე პირველ რიგში გადასაწყვეტი პრობლემაა. საერთოდ მიწისადმი დამოკიდებულება არ უნდა გავიაზროთ, როგორც ერთნიშნა საკითხი. მას მრავალი ასპექტი გააჩნია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ჟამს. ჯერ ერთი, უნდა მივაღწიოთ სასოფლო წარმოებაში საკუთრების შერეული ფორმების დანერგვას, რაც უშუალოდ უკავშირდება შერეული სტრუქტურების ფუნქციონირებას. მიწა უნდა დაამუშაოს იმან, ვინც მისი ყადრი იცის და მასში დაუნჯებულ ბიოლოგიურ შესაძლებლობებს რაციონალურად გამოიყენებს. პრობლემის არსი კი არ წარმოადგენს, თუ ვინ იქნება მიწის მფლობელი: კერძო პირი, თუ ადამიანთა ჯგუფი. მთავარია დაძებნილ იქნას მათთვის ის ოპტიმალური ფორმა, რომლის ფარგლებში შესაძლებელი გახდება მშრომელი კაცის დაინტერესების, მისი სოციალური დაცულობის მექანიზმების რეალურად ამოქმედება. იჯარულმა ფორმამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენს კოლმეურნეობაში. შედარებით სხვაზე მეტი ეფექტი მოგვცა მან მეჩაიეობაში, მეციტრუსეობაში და მეცხოველეობაში, კარგ შედეგებს აღწევენ საარენდო ბრიგადები, რომელთაც [illegible] შრომის გმირი [illegible] როგავა, მზია ჯოჯუა, შალიკო ბერია, მეცხოველე მეარენდე ვალერი ნოდია, № 5 ბრიგადის მეციტრუსეები დ. ჯიქიას ხელმძღვანელობით და ა. შ.

**—როგორ აფასებთ დემოკრატიზაციის პროცესის მიერ მოტანილი არაორდინალური სიტუაციის ფლობას?**

—ის ფაქტი, რომ პარტია ხელს იღებს მონოპოლიასა და დიქტატზე, საჯაროობის ეპოქის ლოგიკური შენაძენია. ნებისმიერი საკითხის განხილვისას ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალური შესაძლებლობა მივცეთ ადამიანებს გამოხატონ თავიანთი პოზიცია. ჩვენმა სოფელმა ეროვნულ მოძრაობას მხარი აუბა. დემოკრატიული სიტუაციის გასაჯანსაღებლად კოლმეურნეობის სახსრებიდან შექმნილია სპეციალური ფონდი. ნაკლებად უზრუნველყოფილ მრავალშვილიან ოჯახებს, ახალშეუღლებულებს მიეცათ 60 ათას მანეთამდე სხვადასხვა სახის დახმარება. საბავშვო ბაღებს რძე ეძლევათ უფასოდ.

**—ნებისმიერ გარედან მოსულ კაცს, რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივ მოსახლეებზე, ერთი სული აქვს იხილოს სოციალურად უკეთესად მოწყობილი ახალსოფელი. რა პრობლემები გახსენებთ ამ კუთხით თავს და როგორია მათი დაძლევის პერსპექტივა?**

—ამ მხრივ ბოლო პერიოდში ბევრ საკითხს მოება თავი. სასოფლო და საბრიგადო გზები კეთილმოწყობილია. შენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ტიპიური ამბულატორია—აფთიაქის შენობა, პურის საცხობი. გაგრძელდება უჩაშონის გზის მოასფალტება, ჩამოყალიბებულია წვრილი საწარმოები კოოპერატივების სახით, რაც დიდად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის ადგილზე დასაქმებას.

გადასაწყვეტი ჯერ კიდევ ბევრია. აუცილებელია სოფელში აშენდეს ახალი თანამედროვე იერსახის მქონე საბავშვო ბაღი, მოგვარდეს ტელეფონიზაციის საკითხი. ცხოვრებამ დააყენა სოფლის ბუნებრივი გაზით მომარაგების საქმე. პრობლემებს რა გამოლევს. სოფლის ხელმძღვანელობა მშრომელების ერთსულოვანი მხარდაჭერით ყველაფერს ღონებს მათი დროული გადაწყვეტისათვის.

## რაისაბჭოს სესია

გაიმართა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მე-17 სესია.

მტკიცდება დღის წესრიგი:

1. რაიონში მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პირუტყვის გამოზამთრების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ;

2. ორგანიზაციული საკითხები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დეპუტატი ვ. ფიფია.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ვ. ბაბუნიამ (კახათის საარჩევნო ოლქი № 21), ქ. ბიბვავამ (ნარაზენის საარჩევნო ოლქი № 29), ზ. ჯოჯუამ (ახალსოფლის საარჩევნო ოლქი № 90), ნ. ქირიამ (წყაო-მოგირის საარჩევნო ოლქი № 120), ამხანაგებმა: მ. ახალაიამ (დარჩელის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), ო. ცაავამ (ჭითაწყარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ტ. პაპაჯორიამ (ურთის კოლმეურნეობის ბრიგადირი).

სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუნავა.

ორგანიზაციული საკითხების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დეპუტატი ი. კუტალია.

სესიამ დაამტკიცა აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილება, რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატ ნათელა ნიკოლოზის ასული ფიფიას დანიშვნის შესახებ.

სესიაზე ასევე დამტკიცებულ იქნა აღმასკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის განყოფილების შექმნისა და გამგედ ამხანაგ თამაზ გრიგოლის ძე ქანთარიას დანიშვნის შესახებ.

გილოცავთ, მეჩაიეებო!

# ჩაის ფოთლის ახალი შესასყიდი ფასები

რესპუბლიკის პრესაში (19. 08. 90) გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი სახელმწიფო შესასყიდი ფასების შემოღების თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქსახაგრომრეწვის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და გადამუშავების მომსახურების ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს გულბერგ გვიჩიას და სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა აღნიშნული დადგენილებისათვის, კერძოდ, ყურადღება გაემახვილებინა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ახალ შესასყიდ ფასებზე.

— ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასების გაზრდა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველ მეჩაიეთა ცხოვრებაში, — აღნიშნა გულბერგ გვიჩიამ. 1991 წლის 1 იანვრიდან ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასი გაიზრდება 31 პროცენტით, მათ შორის ტონა პირველი ხარისხის ნედლეულზე დაწესებულია 2.080 მანეთი, ტონა მეორე ხარისხისაზე — 1330 მანეთი, ანუ საშუალოდ ტონაზე — 1705 მანეთი.

როგორც ცნობილია, საქართველო კავშირის მასშტაბით ჩაის ძირითადი მწარმოებელი და მიმწოდებელია. მისი ადგილზე მოხმარება მეტად უმნიშვნელოა და წელიწადში 2 ათას ტონას არ აღემატება. ამდენად, ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასების გადიდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეჩაიეობის რაიონებისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც გადაწყდა. საკავშირო სადირექტივო ორგანოების 1987 წლის დადგენილებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასი ერთ ტონაზე დაწესებული იყო საშუალოდ 1178 მანეთამდე. ამასთან ეს ღონისძიება არ ეხებოდა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე დამზადებულ ნედლეულს. ბუნებრივია, აღნიშნული გარემოება მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რაც აისახებოდა კიდევაც რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებებისადმი გაგზავნილ წერილებში.

ახალი შესასყიდი ფასები ითვალისწინებს მოსახლეობის, საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელთა ინტერესებს და იგი გათანაბრებულია საზოგადოებრივ მეურნეობებისათვის დაწესებულ სახელმწიფო შესასყიდ ფასებთან. ასე, მაგალითად, საკარმიდამო ნაკვეთზე დამზადებული ერთი ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის შესასყიდი ფასი შეადგენს 2080 მანეთს, მეორე ხარისხისა — 1330 მანეთს, ანუ საშუალოდ თითოეული ტონისა —1705 მანეთს.

# სიკეთის არასრული ნუსხა ანუ საუბარი დირექტორთან

ისე მოხდა, რომ № 62 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩვენი მისვლა დაემთხვა 17 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს. მოგეხსენებათ, ამ დღეს ქალაქ ზუგდიდის სკოლებსა და სასწავლებლებში ისევ „არდადეგებრივი სიმყუდროვე“ სუფევდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეზოებსა და კლას-კაბინეტებში სარემონტო სამუშაოების თანმხლებ საქმიან ფუსფუსს...

...სატვირთო მანქანიდან სამშენებლო მასალას ცლიდნენ. ესესაა საფანჯრე მინა მოვიტანეთ, — გვეუბნება სასწავლებლის დირექტორი ზაურ ფიფია, — ძალიან გაგვიჭირდა მისი შოვნა, თუმცა რა არ წარმოადგენს დღეს დეფიციტს?!

შევკითხებით: რა სიახლეებით, მიღწევებით და პრობლემებით ეგებება ახალ სასწავლო წელს სასწავლებელი, მისი კოლექტივი?

— დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ ჩვენი სასწავლებლის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყო 70 ათასი მანეთი, — გვესაუბრება ბატონი ზაური, — სამუშაოებს ვაწარმოებთ ჩვენი ძალებით და, რაც მთავარია, ხარისხიანად. თუმცა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ზოგიერთი სამუშაო დაუმთავრებელი გვრჩება. კერძოდ? — მოსაგვარებელია გათბობის საკითხი, გასაკეთებელია სპორტდარბაზის ჭერი, რასაც 13 კუბური მეტრი ხის მასალისა და 600 კვადრატული მეტრი ფანერის უქონლობა აფერხებს. გვაწუხებს ოლიმპიური ტიპის საცურაო აუზის უმოქმედობა. იგი ათიოდე წლის წინ ჩადგა მწყობრში და მხოლოდ ერთი წელიწადს ფუნქციონირებდა ნორმალურად. ეტყობა, თავიდანვე უხარისხოდ იყო ნაშენი, მერე ექსპლოატაციის წესებიც დაირღვა და... მაგრამ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი აუზი უახლოეს პერიოდში კვლავ ჩავაყენოთ მოსწავლეთა სამსახურში!

ჩვენს სასწავლებლამდე უტრანსპორტობისა და ცალკე გზის უვარგისობის გამო გაძნელებული იყო მიმოსვლა. საბედნიეროდ ეს პრობლემა მოიხსნა. გზა მოასფალტდა, რაც შეეხება ტრანსპორტს — სასწავლებელმა წელს მიიღო ორი ავტობუსი, რომელიც ემსახურება მხოლოდ მოსწავლეებისა და პედაგოგების გადაყვანას.

წელს განათლების სამინისტრომ დაგვრთო უფლება გაგვეხსნა ახალი ფაკულტეტები, კერძოდ რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურე და შემკეთებელი, რადიომექანიკოსი, ავტომწის მემანქანე მართვის უფლებით. ეს ახალი ფაკულტეტები ალბათ დააინტერესებს ჩვენს ახალგაზრდებს...

— რა ვითარებაა მოსწავლეთა ახალი ნაკადის მიღების კუთხით?

— პრესაში გამოქვეყნდა ჩვენი განცხადება 1990-91 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღების თაობაზე. ჯერჯერობით ახალი კონტინგენტით შევსების საქმეში სახარბიელო მდგომარეობა არ გვაქვს. რა არის ამის მიზეზი? უწინარესად ის, რომ საშუალო სკოლებში, ზოგიერთის გამოკლებით, საპროფორიენტაციო მუშაობა საერთოდ ჩამლილია. ვერა და ვერ იქნა დაძლეული ნეგატიური აზრი პროფსასწავლებლისადმი და სამწუხაროდ, ბევრს იგი საშუალო სკოლის „გამოწუნებულ“, ძნელადაღსაზრდელ თუ სწავლაზე გულაცრუებულ მოსწავლეთა დასჯისათვის განკუთვნილი თავშესაფარი ჰგონია. ეს შეხედულება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

ზოგიერთები ამბობენ, რომ დემოკრატიის პირობებში ყველა იქით უნდა წავიდეს, საითაც მოისურვებსო. ჩვენი აზრით, საითაც უნდათ იქით კი არ წავიდნენ, არამედ საითკენ ჯობია წასვლა საკუთარი თავისათვის, მომავლისა და სამშობლოსათვის.

უფასო კვება და ტანისამოსი, სტიპენდია, გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი, პროფესია, საშუალო განათლების დიპლომი, უმაღლესში შესასვლელი გამოცდებისას უპირატესობა, წარჩინებულებს — მედალოსნის უფლება, — აი არასრული ნუსხა იმ სიკეთისა, რასაც აძლევს ჩვენი პროფსასწავლებელი აღსაზრდელებს. მაშ, ვისარგებლოთ ამ სიკეთით

— თვითდაფინანსება, ე. ი. საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა დღეს რჩენა ჩვენი ცხოვრების ნორმა გახდა. ამ მიმართულებით რა მდგომარეობაა თქვენთან?

— თვითდაფინანსების პირობები გვკარნახობს დღენიადაგ ვაფართოვებდეთ სასწავლებლის წარმოების სფეროს, გვქონდეს საკუთარი სახსრები. ამ მიზნით შევიძინეთ თვითმცლელი და სატვირთო ავტომანქანები, ვუშვებთ სასაძირკვლე და საკედლე ბლოკებს, გვაქვს სახარატო, სადურგლო და სამშენებლო სახელოსნოები, ფუნქციონირება დაიწყო მიკრო სამკერვალო ფაბრიკამ. წლეულს 50 ათასზე მეტი მანეთის ფასიან მომსახურებას გავუწევთ მოსახლეობას, საწარმო-დაწესებულებებს. შრომის პროცესში ჩაბმული არიან ჩვენი მოსწავლეები, ოსტატები. საკუთარი სატბორე მეურნეობიდანაც გვაქვს გარკვეული უკუგება. ვფიქრობთ, გაისად უფრო გავაფართოვოთ წარმოება. შემოსული, ამონაგები თანხები ისევ ჩვენი სასწავლებლის კეთილდღეობას მოხმარდება. ერთი სიტყვით, მატერიალურად უზრუნველყოფილი ვართ, მხოლოდ გვაკლდება მორალური თანადგომა...

— რა გაქვთ მხედველობაში?

— მორალურ თანადგომაში ვგულისხმობთ საზოგადოების ყურადღებას, ჩვენს ქება-დიდებას კი არა, იმ სასიკეთო ძვრების რეალურ დანახვას, რაც სასწავლებელში ხდება. კარგი იქნება თუკი პრესის, ადგილობრივი საკაბელო ტელევიზიის მუშაკები ხშირად შემოიხედავენ ჩვენთან, მართალი სიტყვით ხალხს შემოაბრუნებენ პროფტექგანათლების სისტემისაკენ.

— რაიმე კონკრეტული შენიშვნა ხომ არა გაქვთ რომელიმე ორგანიზაციის მისამართით?

— გვაქვს სათხოვარი, შენიშვნაც. ენგურჰესის მშენებლობის დაკონსერვებასთან დაკავშირებით მისმა ხელმძღვანელობამ (კოლექტივმა) თავი გაინთავისუფლა ჩვენი შეფის მოვალეობისაგან. არის განათლების სამინისტროს მითითება და ჩვენი სურვილიც, რომ ჩვენი შეფი გახდეს № 12 სამშენებლო ტრესტი. საქალაქო საბჭოს აღმასკომს ვთხოვთ სათანადო საბუთების წარდგენის შემდეგ დაგვეხმაროს ამ საკითხის მოგვარებაში.

სასწავლებელს გააჩნია 2 მილიონი მანეთის ქონება, რომელსაც სჭირდება საიმედო დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ამ საქმისათვის ვიხდით 7 ათას მანეთს, მაინც ქონების დაცვა საფრთხეშია... ის ერთი ტელეფონიც კი (2-23-37), რომელიც გააჩნია სასწავლებელს, თითქმის წელიწადია არ მუშაობს, არადა, წესით ოთხი ტელეფონის ნომერი უნდა გვქონდეს. სად „დაიკარგა“ დანარჩენი სამი ნომერი? — ვერანაირად დავადგინეთ. იქნებ კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობა დაგვეხმაროს მათ „ძებნაში“?!

ესაუბრა ჯამბულ არქანია.

## სოფელი მადლიერია

ჯიხაშკარელ და ყულიშკარელ მშრომელებს რაც თავი ახსოვთ სულ ზუგდიდ-ჯიხაშკარის გზის „ქება-დიდება“ ესმით. არ დარჩენილა ადგილობრივი თუ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთი, რომელსაც მწარედ არ გაემათრახებინოს გზათა მშენებლები, თუ სოფლის ხელმძღვანელები. გადიოდა წლები და მშველელი არსაიდან არ ჩანდა.

და აი, როგორც იქნა ჩვენს გზას გამოუჩნდა პატრონი. ერთი სიტყვით გვეშველა და მერე როგორ, ასეთ კეთილმოწყობილ, უმაღლესი ხარისხის დონეზე გაკეთებულ გზას ჯიხაშკარელი, ყულიშკარელი მშრომელები ნამდვილად არ ელოდნენ.

შარშან ზუგდიდის საგზაო სამმართველომ ხელი მოკიდა რესპუბლიკური მნიშვნელობის ზუგდიდ-ჯიხაშკარის გზის მშენებლობის საქმეს. ზუგდიდიდან ყულიშკარის ცენტრამდე უკვე დაიგო ასფალტბეტონი. გზათა მშენებლები გვპირდებიან რომ მომავალი წლისათვის დაამთავრონ გზის მშენებლობა ჩხოროწყუს რაიონის საზღვრამდე. აჭისთან მდინარე ჭანისწყალზე აიგონ ახალი კაპიტალური ხიდი.

ახლა, როცა გზის მშენებლობის ნახევარზე მეტი უკვე დამთავრებულია, ჯიხაშკარისა და ყულიშკარის მშრომელებს მორალური უფლება არა გვაქვს მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ასფალტბეტონის დამგები მანქანის მემანქანე ზაურ აკობია, მუშები: შოთა გვასალია, ხუხა ფიფია და სხვები.

რ. ბაბეჩავა,
ჯიხაშკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

„ოდიშის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

## მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს გაზეთ „ოდიშში“ გამოქვეყნდა კრიტიკული კორესპონდენცია „დუღს და გადმოდუღს“, რომელიც ამხელდა ცენტრალური ფოსტის გვერდით მდებარე საყვავილე კოოპერატივის ჯიხურში მომუშავე გამყიდველს სპეკულაციაში.

შემოწმების შედეგად წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. გამყიდველს რომელსაც ევალებოდა გაეყიდა დანიშნულებისამებრ კოოპერატივის ყვავილები, ყიდდა სხვადასხვა დასახელების მამაკაცისა და ბავშვის პერანგებს, სამამულო წარმოების ფეხსაცმელებს სპეკულანტურ ფასებში, რაც ჩვენს მიერ მხილებულ იქნა. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

ი. შიშია,
შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.

მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

# ღმერთო, უმრავლე სამშობლოს...

„მთელს ქვეყანაზე და კაცთა შორის იყოს წყეული... ის იყოს კრული, ვისაც არ სწამდეს და არ უყვარდეს ძმობა, ერთობა და სიყვარული“ — ბრძანებდა აკაკი წერეთელი. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან, მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამას არ გაუპატრონეთ, რა კაცნი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“ — აფრთხილებდა თავის ხალხს ილია ჭავჭავაძე. მათ თავის აზრს უერთებდა იაკობ გოგებაშვილიც: „პატრიოტია ის, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველ დაბრკოლებას“.

ილიას, აკაკის და იაკობის — ერის ამ სამი მანათობელი ვარსკვლავის გაუხუნარავი, იდეალური ურთიერთობა ამშვენებს ქართული კულტურის ისტორიას. მათი საფიცარი იყო სამშობლო, გულისფიცარზე დახატული საქართველო. ეს სამი გოლიათი, მომავალ თაობებს მამულიშვილობის ჭეშმარიტ მაგალითებს შთააგონებდა, სწორ გზაზე აყენებდა.

ამ ბოლო დროს, ამ სამი გოლიათის საიუბილეოდ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მრავალი მოგონება იწერება. მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანი იყო ეპოქისათვის საჭირო ადამიანების მომზადება. მათ ნამოღვაწარზე თაობები იზრდებიან და კვლავაც აღიზრდებიან ჭეშმარიტ მამულიშვილებად.

ამ წერილის მიზანსაც დღევანდელ ყველაზე აქტუალური საკითხი — ქართული ენის მოვლა, მისი პატრონობა შეადგენს, მართალია, თავისი დაბადება არავის არ ახსოვს, მაგრამ შეუძლებელია ისეთი ქართველის წარმოდგენა, რომელსაც არ ახსოვდეს „დედა-ენის“ პირველად ხელში აღება. ერთხელ დაბადებული ქართველი მეორედ მაშინ იბადება, როცა შეისწავლის ილიას, აკაკის, იაკობის ნაწარმოებებს. ჩვენთვის, ქართველებისათვის, დედა-ენა არის „ენა გულისა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა-ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ“.

დღეს ყველას გონების დაწმენდისა და გამოფხიზლების ხანა გვიდგას. ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალ დამპყრობელს სძლია, მაგრამ ქართველი ერის დამორჩილება ვერავინ შეძლო, იმისათვის, რომ ჩვენ მოვიპოვოთ ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველო, ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს. საქართველოში მცხოვრებლებმა, ვინც არ უნდა იყოს ის, კარგად უნდა იცოდეს, რომ თუ საქართველო დამოუკიდებლობას აღიდგენს, ამით მათი ინტერესები ოდნავადაც არ შეიბღალება. და ყველას, ვინც საქართველოს პატივს სცემს, თავისი ღირსეული ადგილი ექნება საქართველოს ცის ქვეშ. ამიტომ აქ მცხოვრებმა ყველა არაქართველმა უნდა იცოდეს თავისი „ადგილის დედის“ ენა. მაგრამ ამასთან ერთად სიფხიზლე ერთი წუთითაც არ უნდა მოვადუნოთ, რამეთუ მტერი ისევ ცნობილი ფორმულით მოქმედებს: „დაყავი და იბატონე“.

70 წლის განმავლობაში ყოველი ერის წინ წამოწევა „ნაციონალიზმად“ ინათლებოდა. მაგრამ საბედნიეროდ დადგა დრო გამოღვიძებისა. დღეს ჩვენს თვალწინ ისევ და ისევ ცოცხლდებიან ილიას, აკაკის და იაკობისთანა ნაცნობი, ახლობელი და საყვარელი სახეები. ისინი სამშობლოს ცისა და მიწის უსაზღვრო მოტრფიალე ადამიანები არიან და დაუღალავად იბრძვიან ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქართველო ჯიშო და ჯილაგო! ერთ მუშტად შევიკრათ სამშობლოს კეთილდღეობისათვის. დავიცვათ ენა, მამული, სარწმუნოება.

ეს წერილიც მინდა ამ სიტყვებით დავამთავრო: ღმერთო, უმრავლე საქართველოს ილიას, აკაკისა და იაკობისთანა ქართველი პატრიოტები.

ნ. წითაშვილი,
შუათე საშუალო სკოლის პედაგოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აკაკი წერეთელი — 150

## გზა ისევ ჯვარისკენ მიდის

1895 წელი დგას. ილია ჭავჭავაძემ ამ წლის „ივერიის" პირველ ნომერში გამოაქვეყნა სახუმარო „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი", სადაც ვითომ ხუმრობით გაკენწლილია ა. წერეთელი, ი. მაჩაბელი, გ. წერეთელი, დ. კეზელი ი. ხონელი, ი. გოგებაშვილი და სხვები.

აკაკიმ ეს ოპერეტი მაინცდამაინც ხუმრობად არ ჩათვალა, მაგრამ



ილიას მაინც არ შეეპასუხა, რედაქციასთან კი ჰქონდა დავა სულ სხვა საკითხების შესახებ.

აკაკი მცირე პაუზის შემდეგ კვლავ თანამშრომლობს „კვალში" და ეს მთელს საქართველოს უხარია. მგოსანი აგროვებს ჟურნალისათვის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

მუშაობა გრძელდება, გეგმები საუკეთესოა, არის განწყობილებაც. ზამთარი მიიწურა. მდინარეებმა მოუმატეს ხმაურს, ფერდობებს სიმწვანე მიეძალა.

„გაზაფხულზე აკაკი დროებით მიემგზავრება სამეგრელოში სტუმრად თავის დისწულ ანეტა დადეშქელიანთან. ახალ სენაკში გავლისას აკაკი ეწვია დრამატურგ ასიკო ცაგარელს, რომელიც იქ მსახურობდა სადგურის უფროსად. იქვე ცხოვრობდა იმ დროს ა. ცაგარელის მეუღლეც, გამოჩენილი მსახიობი ნატო გაბუნია.

აკაკის ჩასვლა უდიდესი სიხარული იყო ადგილობრივი მშრომელი ინტელიგენციისათვის. ა. ცაგარელმა პოეტის პატივსაცემად წვეულება გამართა" (ლ. ასათიანი).

ამ წვეულებაზე, რომელსაც ახალსენაკელი ინტელიგენცია ესწრებოდა, ნატო გაბუნიამ დაირაზე დაამღერა აკაკის: „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა".

მეორე დილით მგოსანი ჯვარისაკენ გაისტუმრეს ახალ სენაკელებმა. ადგილობრივმა მასწავლებელმა ძიმსტარიშვილმა, რომელიც „კორტოხის" ფსევდონიმით იბეჭდებოდა ხანდახან, აკაკის საკუთარი ლექსების რვეული გაატანა, როცა დრო გექნესთ, გადაიკითხეთ და თქვენი აზრი მიწყალობეთო.

მასწავლებლის დაუფიქრებლობა, თორემ ცხენით მიმავალ კაცს სად ექნებოდა ამ ლექსების წაკითხვის დრო? წავიდა აკაკი ჯვარისკენ თავის ამალით. გზად ზუგდიდი უნდა გაევლოთ, ცხადია სხვა გზა მაშინ არ იყო, რომ ზუგდიდზე გაუვლელად ჯვარში მოხვედრილიყო კაცი.

95 წელი გვაშორებს ახალსენაკი-ზუგდიდი-ჯვარის გზაზე აკაკის გამოჩენიდან, რაც საშუალებას არ გვაძლევს აღვადგინოთ მგოსნის მგზავრობის ნათელი სურათი, არადა გვაქვს უამრავი თავსატეხი კითხვა.

რამდენი კაცი იყო აკაკის ამალაში? ვინ დაემგზავრა ზუგდიდიდან ჯვარს მიმავალ სტუმრებს?

ოცი ცხენოსანი მიჰყვებოდაო აკაკის, გვიყვებიან ზოგჯერ გაზეთებში. საიდან მოჰყვებოდაო ეს ოცი ცხენოსანი პოეტს, სხვიტორ-ქუთაის-სენაკიდან თუ ზუგდიდშიც შეუერთდა მის ამალას რამდენიმე პატივსაცემი ადამიანი?

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს საშუალება მკითხველს წარმოუდგინოთ სამეგრელოში, კერძოდ ჯვარში აკაკის სტუმრობა.

ზუგდიდიდან ჯვარამდე აკაკის ამალამ ხუმრობაში, სიცილ-სიმღერაში გაიარა გზა (სამწუხაროდ პოეტმა ამ გზაზე ვერ მოიცალა ძიმსტარიშვილის ლექსების წასაკითხავად) და პირდაპირ ალექსანდრე დადიანის ჰიშკარს მიადგა.

შეღამებული იყო უკვე, მაგრამ დადიანებს ნაძვის მაშხალებით გაენათებინათ ეზო და მისი შემოგარენი. საოცრად ლამაზი იყო მაშხალებით გაჩირაღდნებული კაკლის ხე, რომლის ძირში რამდენიმე წლის წინ ლვინო უსვია აკაკის, ლექსები წაუკითხავს, თავისი ენამოსწრებულობით გაუმხიარულებია ადგილობრივი მოსახლეობა.

გულთბილად მიიღეს, რა თქმა უნდა, სტუმრები ჯვარელებმა, აქვე იყვნენ ანეტას მეუღლე — ჯანსულ დადეშქელიანი და მისი ნათესაობა.

ჯანსულსა და ანეტას, ანუ ანას, ორი ბიჭი შესძენოდათ — ალექსანდრე (საშა) და თათარხანი. ისინი საკმაოდ წამოზრდილნი იყვნენ და სირბილ-თამაშით იქცევდნენ შეკრებილთა ყურადღებას.

როგორც მკითხველმა დაინახა, ჯანსულმა და ანეტამ ბავშვებს — პირველს ბაბუა ალექსანდრე დადიანის, ხოლო მეორეს — თავად ჯანსულის საშინაო სახელი თათარხანი დაარქვეს. სტუმრის თვალს რა გამოეპარება — მასპინძლები სუფრას აწყობენ, საღაცაა დაუძახებენ სტუმრებსა და მასპინძლებსაც, გაიმართება „ხელჩართული ბრძოლა", ალავერდების გადასვლა, კარგად გამოცალე — არ ჩატოვოს გამაფრთხილებელი შეძახილები, რაც ნაკლებ საიმედოა ლიტერატურული პაექრობისათვის.

აკაკიმ იცის ანეტას ლიტერატურული მოღვაწეობის ამბავი, იცის, მაგრამ, რა დასამალია, გათხოვების შემდეგ თუ რა შექმნა ანამ, ეს არ იცის, გუნებაში კი ფიქრობს პოეტი — გათხოვების შემდეგ ანას ლიტერატურული მოღვაწეობაზე გული აუცრუვდებოდაო.

ჩვენდა გასახარად, არ გამართლდა მგოსნის ვარაუდი. ანამ თავისი რვეული გამოიტანა სათაყვანებელი ბიძას დავალებით.

საღამოს ესწრებიან იაკობ შანავა, სხვა ლიტერატურის მოყვარულები.

ანეტაში დუღდა სისხლი წერეთლებისა და, ვინ იცის, როგორი პოეტი დადგებოდა, რომ მიუვალ პერიფერიაში არ გადაესროლა ბედს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკის ძმაც — დავითი, მიუხედავად სამხედრო ჩინ-მენდლებისა ხარკს უხდიდა მწერლობას, გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე მოთხრობაც.

— აბა, რითი გაგვახარებ, ანა, — მიმართა დაყვავებით დისწულს აკაკიმ.

ანა, ორი ვაჟიშვილის დედა 23 წლისაა. ლამაზი, მიმზიდველი სახე აქვს, თამამია და მაინც სიმორცხვე ეძალება, აჰა, გადაშალა რვეული, სიწითლემ დაუმშვენა ისედაც ლამაზი ლოყები, ნაწნავები მხრებზე გადაიგდო, შუბლზე ჩამოფენილი კულულები გაისწორა და დაიწყო კითხვა.

დარბაზი სმენად იქცა, არარის ჩამი-ჩუმი, მიხრა-მოხრა. სიჩუმე — დამდგარ დარბაზში. ერთი სიტყვაც, ერთი ნიუანსიც არ ეკარგება ახალგაზრდა პოეტს — ანა დადიანი-დადეშქელიანისას.

ა. პუშკინის „ბორის გოდუნოვი" ჟღერდა ჯვარში, ანუ როგორც მას ადგილობრივი მეგრელები უწოდებენ — ჯვარიზენში.

აკაკის ცხვირსახოცი ამოუღია და სიხარულის ცრემლებს იხოცავს. ანა ისევ კითხულობს, დროგამოშვებით რვეულს დაკეცავს და ზეპირად გადმოსცემს ბორის გოდუნოვის სულის მღელვარებას.

დამთავრდა „ბორის გოდუნოვის" კითხვა, დარბაზში ტაში და ოვაციაა ანა რვეულს გადაშლის და კვლავ ემზადება წასაკითხად.

„ფერია", პუშკინიდან, — გამოაცხადა ანამ. მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო კითხვა. აკაკი კვლავ იშრობს სიხარულის ცრემლებს, გახარებულია, გაბადრული აქვს სახე, ობლობაში გაზრდილმა ანეტამ იმდენი შეძლო, რომ პუშკინი ქართულად აჟღერებინა, იმდენი შეძლო, რომ სახელშეუბღალავად ჩაიბარა თავი მისი სიცოცხლის თანამგზავრს, რომ ორი ვაჟკაცი, რომ ორი მეომარი შეჰმატა ქართულ ლაშქარს და აგერ ჩინებულ კოლხურ ოჯახსაც არ აკლებს თვალ-ყურს.

„ფერიას" კარგახანს კითხულობდა ანეტა.

კვლავ ტაში და ოვაცია.

აკაკი გულში იკრავს სათაყვანებელ დისწულს, მადლობას უცხადებს ასეთი ბეჯითობისათვის, კვლავ იკრავს გულში, კოცნის შუბლზე.

— ბატონი აკაკი ხომ არ წაგვიკითხავს საკუთარ ლექსებს? — მორიდებით წარმოთქვამს იაკობ შანავა, აკაკისათვის ახლობელი და საყვარელი ახალგაზრდა კაცი.

— სიამოვნებით, ბატონებო, ამაზე უარს როგორც გეტყვით, — თქვა აკაკიმ და პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო ხელი.

მგოსანმა რვეული გაშალა, დარბაზს გახედა; კოლხური ოდა ხალხს ვერ იტევდა, მხერა მაშხალებით გაჩახჩახებულ კაკლის ხესკენ გადაიტანა.

მასპინძლები მიუხვდნენ სათაყვანებელ სტუმარს, მაგიდას ხელი დაავლეს და ეზოში, კაკლის ხესთან დადგეს. აკაკიმაც არ დააყოვნა, რამდენიმე ლექსი წაუკითხა მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს. შემდეგ აკაკიმ შეკრებილთ გადახედა, ატყობდა, მოწყენილობას არ გრძნობდა მასპინძელი, მაინც არჩია, არ გადაეტვირთა ისინი ხანგრძლივი კითხვით და დღეს ეს ვიკმაროთო, ბრძანა, შემდეგ დაბლად დაუკრა თავი ყველას.

ტაშმა იქუხა, ხანგრძლივმა ტაშმა. ჯვარელებმა მადლობა მოახსენეს სტუმარს და მერმე სუფრისკენ წაუძღვნენ მას.

ხანდაზმული მასპინძელი მეგრულად უხმობდა ახალგაზრდებს ხეწყარი, ხე-წყარიო...

ყმაწვილმა ქალმა ტაბურეტზე დადო სპილენძის სინი, მარცხენა ხელზე ქათქათა ხელსახოცი ეკავა.

დაიწყო თავპატიჟი, ჯერ თქვენ დაიბანეთ ხელები და მერე ჩვენო. მგოსანმა კარგად უწყოდა მეგრელთა თავპატიჟის ამბავი, თანაც ისიც იცოდა, რომ ტრადიციის მიხედვით, ჯერ მასპინძელს უნდა დაებანა ხელები, ამიტომაც არ გაეკარა სინს სიახლოვეს, სანამ მასპინძელი არ მივიდა.

ალექსანდრე, დადიანი უკვე არ იყო ამქვეყნად, ოჯახის უფროსად ჯანსულ დადეშქელიანი ითვლებოდა, მაგრამ არც იმან დაიბანა ხელი, სანამ ხანდაზმულები არ მივიდნენ და არ გარეცხეს ნავსი.

სანაქებო სუფრა გაეწყოთ დადეშქელიანებსა და დადიანებს. აკაკის პირდაპირ იაკობ შანავა იჯდა, იაკობის გვერდით კიდევ განათლებული და ლიტერატურის მოყვარული ჯვარელი დადიანები, ფიფიები, მახიები, ქარდები, ჩალიგავები.

მჭერმეტყველი და საზრიანი ჩანდა თამადა, იცოდა თუ ვისთან იჯდა, ვისთვის როგორ მიემართა, როგორი სადღეგრძელოები ეთქვა.

საქართველოს სადღეგრძელო განსაკუთრებული ჰქით შესთავაზა სუფრას თამადამ, მერმე დაილაღ, დიდ სტუმარს მოუსმინა:

ჩვენი ხატია-სამშობლო,
სახატე-მთელი ქვეყანა,
ლა რომ ვუწვიდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც აგანა?

აკაკიმ სუფრას გადახედა. მთელი კრებულის გონება მისკენ იყო მიმართული.

ეს არც გაკვირვებია.

თევდორე მღვდლის გმირობა, ცოტნე დადიანის გამჭრიახობა, მურზაყან დადეშქელიანის გამბედაობა და თავწაცლილი გაგარინი შეახსენა სუფრასთან მსხდართ, მერმე დღევანდლობას გადასწვდა, ზოგჯერ მოშარბებული წუწუნი ვიცითო ახალგაზრდობაზე საუბრის დროს, მთლად ასე არ არისო საქმე, უიმედო მტერი იყოსო ჩვენი, ბრძანა.

შეისვენა, კვლავ გადახედა სუფრას, ძალიან ხომ არ დავღალეო თანამეინახენი, გაიფიქრა.

კვლავ მისკენ იყო მიმართული მთელი სუფრის შემადგენლობა. გაბრიელ ეპისკოპოსი ახსენა, მერმე რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე მესამე მოაგონა მასპინძლებს, 1888 წლის შემოდგომაზე ეწვია საქართველოს ეს „დიდად განათლებული და ჭკუით სავსე რუსი", აღმოსავლეთ საქართველოდან დაბრუნებული ქუთაისს მოიყვანესო ჩვენმა „ჭკვიანმა" მეფე-ვეზირებმა დაუპატიჟებელი სტუმარი.

ქუთაისის სობოროში ხალხი შეგროვილიყო, უყვარდათ თუ არ უყვარდათ, მაინც სურდათ იმპერატორისა და მისი მხლებლების ნახვა ქუთათურებს, სენაკელებს, ფოთელებს.

სობოროსკენ მისასვლელ გზაზე ხალიჩები დაეფინათ გუბერნატორსა და მის ლაქიებს, ფეხი არ დაესვილდესო იმპერატორს. ძვირფას ტანისამოსში გაწყობილ იმპერატორს თავისი მხლებლებიც ახლდა, ცხადია ამაყი, საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებული იმპერატორი ხალიჩას გაჰყვა, იარა ასე კარგახანს და როცა სობოროს კარებს მიუახლოვდა, გაბრიელ ეპისკოპოსმა შესძახა: — მეფეო რუსეთის ხელმწიფეო!

ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა. ჩუხჩარუხებმა კისრები მიატრიალ-მოატრიალეს იქით აქეთ, იარაღიც მოსინჯეს ვითომ ხალხისაგან შეუმჩნევლად, მაგრამ ჩუხჩართუხუცესისაგან ბრძანება ვერ მიიღეს და გაჩუმდნენ.

ხალხის ძალა დიდი იყო და იცოდნენ, რომ დიდძალი სისხლი მოჰყვებოდა იარაღის აღმართვას.

გაუმარჯოს გაბრიელ ეპისკოპოსს! — იხუვლა სუფრამ ისე, რომ აკაკის საუბარი არ დაამთავრებინა.

— გაუმარჯოს გაბრიელ ეპისკოპოსს!! — იხუვლა სუფრამ კვლავ.

თამადას წინადადება მიეცა, ცალკე სასმისით დაელია გაბრიელ ეპისკოპოსის სადღეგრძელო, ოღონდ ჯერ ბატონ აკაკის ვაცალოთ სადღეგრძელოს დამთავრება.

აკაკიმ სვანეთის მთებს გადახედა, მერმე ბარსაც მოავლო თვალი და კიდევ ერთი ლექსი წაიკითხა. ტაშმა ამჯერადაც არ დააყოვნა, აკაკიმ ჭიქა გამოცალა და დაჯდა. თამადამ იაკობ შანავას მისცა სიტყვა.

ი. გამსახურდია.

(დასასრული იქნება)

## მიეძღვნა მგოსნის ხსოვნას

# ჩუო სიმღერა, ლექსი და ცეკვობა

დიდძალი ხალხი დაესწრო აკაკი წერეთლის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს. ჩატარდა ხალხური შემოქმედების საქალაქო დათვალიერება დევიზით „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო".

იხსნება ფარდა. აკაკის ლექსს გრძნობით კითხულობს ნათია ლუბელაძე. ერთმანეთს ცვლიან საქალაქო დათვალიერებაში მონაწილე წარმოება-დაწესებულებების მხატვრული კოლექტივები...

ჟიურის გადაწყვეტილებით მაღალი შეფასება დაიმსახურეს შემდეგმა კოლექტივებმა: დიდი სამამულო ომის ვეტერანთა გუნდმა „იერიში" (სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი შ. ბიგვავა). აკაკის ტექსტზე მათ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა მოხიბლეს მსმენელები. მოსაწონი იყო კავშირგაბმულობის ვოკალური ჯგუფის (ხელმძღვანელი რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი ო. ლეთაძე), გამოსვლა. საინტერესოდ წარსდგა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების საქალაქო გამგეობასთან არსებული ტრიო: ლუარა ქირიას, ბესიკ ჭითანავას და მამუკა ჯიქიას მონაწილეობით. ლუარა ქირიამ შეასრულა საავტორო სიმღერა „საქართველოზე".

სცენაზეა ქადარიების ოჯახი. მათ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა „სატრფიალო", „გურული შემახილი" და სხვა ტაში და მოწონება დაიმსახურა.

აჟღერდა კლასიკური სიმღერები № 1 სამუსიკო სკოლის პედაგოგთა ძალებით (კონცერტმეისტერი ლ. მესხია). ა. ძიძიგური და კ. ბარამია შესანიშნავი ხმითა და შესრულების უბადლო მანერით ხიბლავენ მაყურებელს.

საინტერესო პროგრამით წარსდგნენ: ჩაის კომბინატთან არსებული ვოკალური ჯგუფი (ხელმძღვანელი გ. ჯანაშია), ექსპერიმენტული ჩაის საწნეხი ფაბრიკის ვოკალური ჯგუფი (ხელმძღვანელი გ. ფაჟავა), საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პროფკავშირების საქალაქო კომიტეტთან არსებული ვოკალური ანსამბლი (ხელმძღვანელი კ. ომხრელი).

ინდივიდუალური შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: ლეილა აღამია, ალექსანდრე ძიძიგური, ლუარა ქირია, ნათელა ქეცბაია, ვენია ვეკუა, ლეილა ხარებავა, თალიკო საღლია და სხვები.

საღამოს ელფერი შემატა პოეტების: მიმოზა ცანავას, ედემ იზორიას, ჯულიეტა ჩაკაბერიას, ვახტანგ გულუას, ნათია ლუბელაძის მიერ წაკითხულმა საკუთარმა ლექსებმა.

საღამო საინტერესოდ წარიყვანა რუსიკო როგავამ. მისმა მონაწილეებმა და დამსწრეებმა დიდი პატივი მიაგეს დიდ მგოსანს.

**ლ. ქარჩავა,**
**კულტურის განყოფილების ინსპექტორი.**

# განცხადებები, რეკლამა

6 ოქტომბერს 12 საათზე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში, შედგება საბინაო სამშენებლო კოოპერატივი „კოლხეთი" № 5-ის მეპაიეთა კრება ბინების განაწილებასთან დაკავშირებით. ის მეპაიეების, მიმართ, რომლებსაც არ ექნებათ შეტანილი დამატებით თანხა და წარმოდგენილი განახლებული საბუთები, დაისმება საკითხი მათი კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვაზე.

საერთო კრების გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლო წესით.

**კოოპერატივ „კოლხეთი" № 5-ის გამგეობა**

**აბიტურიენტთა მომზადება გარანტიით**

სპეციალიზირებული სასწავლო კოოპერატივი „ცოდნა" ამზადებს აბიტურიენტებს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებისათვის გარანტიის მიცემით, შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; ინგლისური ენა.

კოოპერატივის პედაგოგები არიან მაღალკვალიფიციური გამოცდილი პედაგოგები, რომელთაც გააჩნიათ აბიტურიენტებთან მუშაობის გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს აბიტურიენტთა მომზადების მაღალ დონეს.

იმ აბიტურიენტებს, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე მიიღებენ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, უბრუნდებათ გადახდილი თანხის 40 პროცენტი.

განცხადებების მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 14 ოქტომბრამდე, მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. № 2, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა II სართული, ოთახი № 211.

**კოოპერატივი „ცოდნა"**

**ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!**

მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს 16 საათზე ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე, ჩატარდება ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური — ზუგდიდის „ოდიში" მასპინძლობს გორის „დილას".

ჩატარდება ერთგულების ლატარია, გათამაშდება ორი მსუბუქი ავტომობილი „ჟიგული", იაპონური მაგნიტოფონი და უძლადი მოგებები.

ბილეთები გაიყიდება 3 ოქტომბრიდან სტადიონის სალაროებში.

**საფეხბურთო კლუბი „ოდიში".**

**საქ. სსრ განათლების სამინისტროს სსგ „ინფორმატიკის" ზუგდიდის რეგიონალური ცენტრი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფასიან წრეებში:**
მათემატიკის (მასწავლებელი: თ. ბჟალავა), ფიზიკის (მასწავლებელი: პ. კუკავა), ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის (მასწავლებელი: მ. კაკულია), პროგრამირების ენების შემსწავლელი (მასწავლებელი: ნ. პერტაია), ავია-მოდელისტთა (მასწავლებელი: გ. კვარაცხელია), რადიო-ტექნიკური (მასწავლებელი: მ. ბელქანია), ინგლისური ენის (მასწავლებელი: ვ. ზარანდია).

მეცადინეობები იწარმოებს კეთილმოწყობილ კლას-კაბინეტებსა და ლაბორატორიებში. ცენტრი აღჭურვილია უახლესი გამოთვლითი ტექნიკით (იამახა, კორვეტი, ელექტრონიკა) მომხმარებლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პერსონალური კომპიუტერებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, აგრეთვე პროგრამირების ენების შესწავლით ცენტრში შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები და გაიარონ პროგრამირების ენების შემსწავლელი კურსები.

მეცადინეობები დაიწყო 1 ოქტომბერს. წრეებში სწავლება ფასიანია.

**ინფორმატიკის ცენტრის მისამართი: სოხუმის ქ. № 1, ტელეფონი: 2-53-68.**

# ჭადრაკი

ამ დღეებში მეტად საინტერესო ტურნირი-საკავშირო ფესტივალი „საჭადრაკო მოქცევა"

## გამარჯვებული 7 წლისაა

ჩატარდა ქალაქ ფოთში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ზუგდიდის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი (მწვრთნელები ნ. შონგირაძე, ზ. თორია). მოჭადრაკეთა კლასიფიკაციის მიხედვით ჩატარდა ორი ტურნირი. პირველი ოსტატების და ოსტატობის კანდიდატების დონეზე, მეორე — თანრიგოსან მოჭადრაკეთა მონაწილეობით.

თანრიგოსან მოჭადრაკეთა ტურნირში გაცილებით უფროსი ასაკის მონაწილეებთან მეტად დამაჯერებლად და კარგად ითამაშა ზუგდიდის № 1 საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლემ ვალერი გვათუამ. მან ბრწყინვალე შედეგით ცხრა შესაძლებლობიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ნორჩი მოჭადრაკის შედეგი და თამაშის დონე ადრეულ ასაკში გარკვეულ იმედებს გვიხახავს. მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ნორჩმა მოჭადრაკე [illegible] რომელმაც გაიყო მესამე-მეოთხე ადგილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდში ზუგდიდის საჭადრაკო წრეებში შეიმჩნევა ერთგვარი გამოცოცხლება, განსაკუთრებით ბავშვთა ჭადრაკში. საჭადრაკო ფედერაცია, ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელები საზოგადოებრიობის მხარდაჭერით საინტერესო ღონისძიებებს ატარებს, იხსნება ახალი ჯგუფები. ჭადრაკის სწავლებისათვის ამჟამად ყველა წინაპირობა არსებობს და შედეგებიც უკვე სახეზეა.

დაიმახსოვრეთ მოზარდები: სოფიკო ნაყოფია, თამრიკო გვასალია, ნათია წურწუმია, ვალერი გვათუა, ძმები ირაკლი და ილია მანიები, დათო და კობა ჩქოტუები, ლაშა ტყ[illegible]ჩავა, გიგა კვარაცხელია, ვალერი გუბელაძე, პაატა სხულუხია, გიგა გარდავა, რომელთა მეშვეობითაც იმედია კვლავ აღორძინდება ჭადრაკის ფენომენი ზუგდიდში.

**ზ. ახალაია.**

რედაქტორის მოადგილე **ზ. ცხონდია.**

---

მეუღლე სულიკო. დედა ვენია, შვილები ნონა, ნინო, ზური ფაცაციები, დები ეთერი, ციალა, ძმები: ოთარი ფაცაცია, აფიკო, ჯანიკო ძიგუები, დეიდა ნორა ჭკადუა, სიძეები: პაპო გუგუჩია, ინდიკო კეკუტია, გიორგი ძიქავა, რძლები: ხათუნა, ლიანა, ნანული, ბიძები: კოკო, ვალიკო ლიშკარიანები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბიჭიკო აკაკის ძე ფაცაციას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი: 3, 4, 5 ოქტომბერს, დაკრძალვა 6 ოქტომბერს, ინგირში, გამოსვენება დადიანის ქუჩა № 35-დან.

---

მეუღლე ქსენია, შვილები: ვახტანგი, მიკოლა, ზაირა, ნუნუ, რძლები: სულიკო ლეფსაია, მარინა კვარაცხელია, დალი ჭურღულია, შვილიშვილები: გიგლა, ნონა, ნინო ჩუხუები, რაჯი, ედიკი, მარინა, ჰამლეტი, ვახტანგი ბეჭვაიები, დათო, ხათუნა ჯალაღონიები, პაპუნა, ჭაბუკა ხუფენიები, სიძეები: შოთა ჩუხუა, პალიკო ხუფენია, რევაზ ზარანდია, თემური ჭეჟია, ხვიჩა კოდუა, გია კუტალია, ცოლისძმა ნოდარი ქირია, მულები: ლენა, ოლია, ვერა, ნაზია, დეიდაშვილი მიშა კვარაცხელია, ოჯახებით იუწყებიან

**სარდიონ ნესტორის ძე ბეჭვაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 ოქტომბერს, გამოსვენება 4 ოქტომბერს 5 საათზე იქვე სტახანოვის ქ. № 24, დასაფლავება ახალსოფელში.

---

დედა პაშა, შვილები ბადრი, ზურაბი, გოჩა, და ლუშა, ძმები შალვა, სანდრო, რძლები ეთერი ხარჩილავა, დუნია წურწუმია, ნანული ცირამუა, ნანული ფეტელავა, ეთერი ზარანდია, შვილიშვილები ირინა, გიორგი, გოდერძი, დისშვილი ავთო ხორავა, ძმისშვილები ზაირა, ზაური, ლუდა, ბესიკი, გოგიტა, კოხტა, მამუკა, როლანდი, ცოლისდა ლორა, ცოლისძმები გულვანი, ზაური სიჭინავები, ქვისლი ჯემალი წიწავა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ინდიკო (კაკო) ბესარიონის ძე ჭეჟიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3. 4, 5 ოქტომბერს, დაკრძალვა 6 ოქტომბერს სოფ. ჭითაწყაროში.

---

მეუღლე: თამარა, შვილი: ნუნუ, შვილიშვილები: ნანა, ლანა, ანა კაკულიები, სიძეები: პალადი კაკულია, ვანო ჩაფრავა, რძალი ნანი ჩანგელია, ბიცოლა ცობორო, ბიძა მექი, მამიდა თძროშია, დეიდა ლუშა გუჩუა, ცოლისძმა ველოდი, ცოლისდები ფაცია, ვენერა გერგედავები, ბიძაშვილები: ვაჟა, ჯანიკო, გივი, ვალერი, კლარა, ნათიკო, სულიკო ჩაკაბერიები, მამიდაშვილები: გუგუ, ლუდა, დათიკო, ვალენტინა, ცურუ, ლენტია, ფაციკო, ნინუა, გიგლა გოგოხიები, ნათელა, ლილი, ჟორა, ჟორჟი ჩაფრავები, დეიდაშვილები: რეზო გუჩუა, ჯინჯიკო შონია იუწყებიან

**ნაპო ვარლამის ძე ჩაკაბერიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 3, 4, 5 ოქტომბერს, დაკრძალვა 6 ოქტომბერს, ქ. ზუგდიდში გამოსვენება მოსკოვის ქ. № 9-დან.

---

დედა ფენია, მეუღლე მედიკო ბულია, შვილები: კობა, როზეტა, ელიზა, სიძე დათო ჭკადუა, შვილიშვილი ნინო, ძმა ინდიკო, ძმისშვილები: რევაზი, რობინი, ზაირა. რძლები, ხაზო მოსია, მაია ალმასია, ნუნუ ქობალია, სიდედრი ნადია, სიმამრი ხუტა ბულიები, ცოლისდები: დალი, კოკო, იზო, ცისანა, ცოლისძმები: ჯუმბერი, ჯანიკო, სიმონა ბულიები, ბიცოლები: ქიონია ჭეჟია, თამარა ქარდავა, ქვათა ბულია, ბიძია: მამანტი ბულია, ბიძაშვილები: ლაურა, ფერდინანდი ჭეჟიები, ჟორბენი, კადნიკა ქარდავები. ქვისლები: რაჟიკო ხუხუა, ვარლამ ყურუა, ჯემალი ქურსუა, იმედო ლაჭარია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვაჟა სერგის ძე ჭეჟიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 4, 5 ოქტომბერს, დაკრძალვა 6 ოქტომბერს სოფელ ცაიში.

---

და ნინო, სიძე ჯემალ წიწავა შვილებით: ირმა, თენგიზი, სიძით მამუკა ლურწკაიათი იუწყებიან

**კაკო ბესარიონის ძე ჭეჟიას**

გარდაცვალებას.

---

სიდედრი ლოლა, ცოლისძმა დემური, ცოლისდები ეთერი, ლამარა შამუგიები. რძალი მედიკო ტაბაღუა, სიძეები ჯანიკო ჭანია, ვალიკო ფიჩხაია; ლადო, გიორგი ბამუგიები, ქეთინო, როლანდი ჭანიები, თამრიკო ფიჩხაია, იუწყებიან, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა

**დოროთე (შოთა) სპირიდონის ძე ჯორჯიკია.**

დაკრძალვა 4 ოქტომბერს ქ. ფოთში. გამოსვენება კოლხეთის ქ. № 35 დან.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-09

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. № 4316